# ერი

№ 9
წელიწადი მეორე
1914

ფ ა ს ი:

| | |
|---|---|
| წლიურათ . . . . . . . . . . . | 7 მანეთი |
| ნახევარი წლით. . . . . . . . . | 4 მანეთი |
| თვიურათ . . . . . . . . . . . | 4 აბაზი |

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

კვირა, 12 იანვარი.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ Ивановская, д. Чиладзе.

ყოველდღიური გაზეთი

ტელეფონი № 149.


ეროვნული ბიბლიოთეკა


„რადიუმი“

ხუთშაბათიდან, 9 იანვრიდან დიდი პროგრამმა.

I.
პ ა ტ ჟ-უ რ ნ ა ლ ი.

II.
ღმერთების სიყვარული

პარიზის ოპერის მაცეკვარი ნაპერკოვსკის ქალის მონაწილეობით.

III.
სტუმრათ ქონდრის კაცთან

ძალიან კომიკური.

ოთხშაბათიდან, 13 იანვრიდან
ნაჩვენები იქნება საუცხოო სურათი.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ე რ ი“

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთში ახლა მონაწილეობას მიიღებენ ჩვენში ცნობილი პუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.

გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის . . . | 1 შაური. |

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ენკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მ., ½ წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 5 მ., ნახევარ წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ. მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ. ივანოვის ქუჩა.


9 იანვარს დ. სამტრედიაში გადაიცვალა პეტერბურგის სამხედრო აკადემიის მესამე კურსის სტუდენტი

### ერმილაოზ მიხეილის ძე შენგელია

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავებს მამა გადაცვალებულისა მიხეილი, დედა სუსანა ლევანის ასული, ბიძა ამბაკო რევიშვილი და ბიძისშვილი ილიკო შენგელია. გასვენება მიცვალებულ-სა 14 იანვარს, 2 საათზე. წესის აგება სამტრედიის ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაში, რომლის გალავანშიც მოხდება დაკძალვა.


ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო საავადმყოფო [სამკურნალო]

სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რედიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

| | |
|---|---|
| გ. ა. აშიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. . . | 1— 2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის . . . . . | 10—12 |
| ა. ა. რედიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო . . . . | 11—12 |
| მ. დ. ბეთანელი—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . | 12— 2 |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . . | $12\frac{1}{2}$ 2 |
| ს ა ღ ა მ ო თ. | |
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის . . . . . . | $4\frac{1}{2}$—$5\frac{1}{2}$ |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . . | $5\frac{1}{2}$—$6\frac{1}{2}$ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა.

ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.

1914 წლის 2 იანვრიდან

ქუთაისში, კირაკოზოვისა და ოგანოვის სახლში, ბულვრის პირდაპირ გაიხსნა

კანცელარია

ნოტარიუსის ვ. პ. კოკოჩაშვილისა.

2 января 1914 года

въ Кутаисѣ на Гимназической ул. въ д. Киракозова и Оганова открыта

КОНТОРА

НОТАРІУСА В. П. КОКОЧЕВА.

18 დეკემბრიდან

დაიწყო ხელის მოწერა

ია ეკალაძის (ი. ცინცაძის) მოთხრობათა მეორე ტომის გამოსაცემად

წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს დართული ექმნება ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.

წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით სუფთად და ლამაზათ.

ხელის მოწერა მიიღება ბ-ნ კ. ოცხელის, თ. მთავრიშვილის, ი. კვიცარიძის, „პროვინციის“ წიგნის მაღაზიებში და კერძო აგენტებთან.

ფასი ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.

მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით; ქუთ.-ისი, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი ხოჯევანოვისა.

გამომცემელი ია. ცინცაძე.

ქ ა ლ ა ქ ი ს თ ე ა ტ რ ი

კვირას, 12 იანვარს,

სახალხო უნივერსიტეტის თეატრალური სექცია ვას. ბალანჩივაძის მონაწილეობით გამართავს სახალხო იაფფასიან წარმოდგენას

1. წარმოდგენილ იქნება:

ირინეს ბედნიერება

კომედია ორ მოქმ. დ. კლდიაშვილისა.

2. ვოდევილი 1 მოქმედ. ვ. ყიფიანისა

დატრიალდა ჯარა

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნი მარტყოფელი, ბელაკნელი, ქავჯაის ასული, მერი. ბ.ბ. ვ. ბალანჩივაძე. „გრიშა“ ჩხიკვაძე, გრ. ჩარკვიანი საფირჩხიელი, მაისშვილი, ქვიტირელი და სხვ ადმინისტრ. სახალხო უნივ. გამგეობა.

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

ვაჭრობამრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

გ. გ. გიგინეიშვილისა

15 იანვრიდან იხსნება მეორე-პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერ გამოცდის შემდეგ რუსულსა და არითმეტიკაში. კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მანეთი. თხოვნები მიიღება ყოველდღე კურსების კანცელარიაში.

1913 წლის 20 ნოემბრიდან

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ გახსნა საკუთარი

ახალი სტამბა

— ქუთაისში —

სტამბა საუკეთესოთაა მოწყობილი და იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს ქალაქსა და პროვინციებიდან:—ქართულ, რუსულ და სხ. ენებზე ზომიერ ფასებში.

ქ უ თ ა ი ს ი.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას მუდმივ მოსდის ახალ-ახალი რუსული და ქართული წიგნები, როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან—დაბეჭდვისთანავე.

პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აკმაყოფილებს.

მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.

ექიმი ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

ექიმი დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს: თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

იყიდება კახიანაურში რკინის გზის გადასავალთან ორსართულიანი ქვიტკირის სახლი, დაგირავებული ბანკში, ღვინის სარდაფით, სარაიათი და ბაღით, ზომით 400 კვ. საჟ. პირობების გაგება შეიძლება ტ. მ. კნუნთან, თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.


## „ძმობილნი“.

„ჩვენ თვით შევქმენით ჩვენი არსებობა, ჩვენ თვით ვსჭედავთ სინამდვილეს ჩვენი მომავლისთვის ე. ი. ახალ წლისათვის. და ვიხსენებთ რა კარლ მარქსის სიტყვებს, რომ „ადამიანები თვით ქმნიან თავის ისტორიას“, ჩვენ გადავდივართ ახალ წელში და მივდივართ უკვე გაკვალული საზოგადოებრივი პროგრესის გზით“, ასე ათავებს მეთაურ წერილს ამბარცუმ ცერელოვის გაზეთის საახალწლო ნუმერი. რომ სომხის შოვინისტებმა შექმნეს და ქმნიან თავის ისტორიას, ეს არავისთვის ამჟამათ საიდუმლოებას არ წარმოადგენს. ისიც ვიცით თუ სომეხ პლუტოკრატთა ინტერნაციონალურ ნილაბს ზოგჯერ რა წმინდა წყლის შოვინიზმი ამოფარებია, კარგათ ვუწყით ისიც რომ სომეხ შოვინისტების გულისთქმათა მესაიდუმლენი ჩვენებური დასელებია და აი, სწორეთ ეს მოვლენა იწვევს ჩვენში მწარე ფიქრებს და მწარე განცდათ. სოლოლაკელთა კაპიტალმა სასურველ ჰანგზე აამეტყველა ევროპისა და რუსეთის პრესის ნაწილიც კი და აბა რა საფიქრებელია, რომ ყოვლად ძლიერი ნივთიერების წინაშე ჩვენებურ დასელთა იდეოლოგ-ლიდერები არ მოიხრიდენ ქედს? სწორეთ ამით ვხსნით ჩვენ თფილისის არჩევნების ფინალსა და საპოლიტეხნიკუმო საკითხში დასელთა მიერ დაკავებულ პოზიციას. ამბარცუმ ცერელოვის ქართული „ფიქრი“ და რუსული „ახალი საქმე“ გაგძელებაა იმ ძველი ნაფიქრის და ნამოქმედარის, რომელმაც კარლო თავრიდის სასახლეში სადეპუტატო სავარძელზე წამოსჭიმა, ნავთლუღი „ელისეის მიდვრებათ“ გადააქცია და ბევრ პროლეტართა იდეოლოგს თფილი კუთხე მოუჩინა—„სჭამეთ და ჩვენთვის იყეფეთ, ჩვენთვის იფხიზლეთო“. და მართლა კარგათაც ფხიზლობენ ეს ქართველი მშრომელი ხალხის „გამაბედნიერებელნი“ და მათი სიფხიზლის დამამტკიცებელ საბუთებს მრავლათაც შეხვდებით როგორც ცხოვრებაში, ისე დასელურ პრესაში. თუნდა მარტო ნ-ძის ფელეტონები გადაიკითხეთ პოლიტეხნიკუმის შესახებ, ან ფიქრის მეთაური წერილები, სადაც იგივე საკითხია გარკვეული. ის იდეოლოგია რომელიც ყოველგვარი აბსოლიუტიზმისა და აბსოლიუტიური უფლებებით აღჭურვილი ავტორიტეტის წინაალმდეგი უნდა იყოს, ხელს უწყობს ავტორიტეტთა სრულუფლებიანობას პარტიაში და ამის შედეგია ის უკანტროლობა, რომელსაც დასელთა ლიდერები არიან მოკლებული მიმდევართა მხრით. ნ-ძეებმა სთქვეს და გათავდა, ყველაფერი შესრულებული უნდა იქნეს, მათ გამოძახილს ყოველმა ჯარისკაცმა „ტაკ ტოჩნოთი“ უნდა უპასუხოს და იმის კვლევა-ძიებაში არავინ შედის თუ ხსენებულმა ბატონებმა რა სთქვეს, რა ქნეს, რათ სთქვეს, ან რატომ სთქვეს. იმის მოწმეც გახლავართ, თუ ერთმა ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულმა დასელმა მუშამ როგორ დაიკაწრა სახე სიმწრით და გაბრაზებული სტოლს მუშტებით გაუმასპინძლდება 906-ში, როდესაც დასელთა ლიდერების გადაწყვეტილება გაიგო იმ ფულის შესახებ, რომელსაც უბადრუკ გლეხთა მრავალი ძროხა, ცხენი, ქვაბები და სხ. რამ ოჯახური ავეჯეულება შეეწირა სხვერპლათ. მაგრამ რას იზამდა, თუმცა გრძნობდა ლიდერთა ტენდენციებს, მაგრამ რა შეეძლო ექნა, კრინტს ვერ დასძრავდა, ვინაიდან დუმილს უკარნახებდა მას კრძალვა ავტორიტეტისადმი და „რკინის დისციპლინა“. და რამდენი ასეთი მაგალითი მომხდარა და ხდება, რამდენ დასელ მუშას ჩაუმარხავს გულში ბრაზი და ცრემლი, მაგრამ ვერაფერი ვერ უთქვამს, რადგან მას მარტო „რენეგატისა“ და „შავრაზმელის“ წოდებით არ გაუმასპინძლდებოდენ. ამგვარი უკანტროლობის შედეგია ნ-ძეთა მანასეობა, ამგვარ „ტრადიციათა“ ნაყოფია მახარაძეთა თავხედობა და ამგვარი „დისციპლინის“ შედეგია ის, რომ ყოველი დასელი თავის ისტორიას ქმნის და მას იმგვარი ფერადებით ამკობს, როგორიც სურს. და ყველა ამას შემდეგ რა გასაკვირველია თუ უცხო ერის „ესდეკთა“ ავანტიურას უფრო გულცივათ შევხვდეთ და როდესაც სოლოლაკელთა „ესდეკურ“ ნიღაბ ქვეშ დაბალი წყლის შოვინიზმს ვსჭრეტავთ, მას არც იმდენი ყურადღება მივაქციოთ. თუმცა არც სოლოლაკელ პლუტოკრატიის დაუყრია ხეირი ქართველი დემოკრატიისთვის, მაგრამ სად ისინი და სად დასელები,

ყოველთვის შინაური მტერი უფრო საშიშია გარეშეზე, რამეთუ მან უკეთ იცის წყლული შენი და უფრო არ მოტყუვდება თუ ავაიმყოფ ადგილზე ფეხის დაჭირება განიზრახა. სხვა რომ არა იყოს რა უცხოთა ჩვენდამი მტრობას ზოგიერთი გამამართლებელი საბუთი მაინც აქვს, რომელიც მისი დანაშაულობის მნიშვნელობას აფერმკთალებს, ხოლო რა წარხოცს იმ ტალახს, რომელიც ჩვენებურ დასელთ ამკობს? რა ვუყოთ თუ სომეხი პლუტოკრატი დასელობს იმიტომ, რომ თავის ერს ასარგებლოს და შენ გაზარალოს, რა ვუყოთ თუ მას ესდეკობაც თავისი შოვინისტურ გულისთქმათა განსახორციელებლათ მიუღია, როგორც ეს სრულიად რუსეთის სახალხო მასწავლებელთა კრებაზე ერთმა ესდეკმა სომეხმა დაამტკიცა, რა ვუყოთ თუ სოლოლაკელი პლუტოკრატები ქართველი დასელისადმი მაშინ არიან ტრფობით სავსე, როდესაც მათ სათათფიროში ქართველთა მტრის წამოსკუპება დასჭირდებათ, ხოლო მწარეთ დამაფიქრებელი და მიუტევებელია, როდესაც ქართველიც იმ მიზნით დასელობს, რომ თავის ერსა და მშობელ ქვეყნის კეთილდღეობას დღენი მოუსწრაფოს, როდესაც ქართველი იმისთვის დასელობს, რომ სხვას არგოს, პირადათ თავის თავს და ქართველ ერს კი ვნება და ზიანი მიაყენოს. და როდესაც ასეთ მოვლენას ხედავთ, როდესაც მშრომელი ხალხის „გამაბედნიერებელთა" იმავე ხალხის გაუბედურებისადმი ლტოლვასა სჭვრეტთ, მაშინ სომეხ ესდეკის შოვინისტურ ოინებსაც დიდ ყურადღებას აქცევთ, რადგან სომეხი ესდეკის „ღვაწლი" მკრთალია ქართველ დასელთა მოღვაწეობასთან შედარებით.

**იმერი.**

# ახალი ამბავი.

**ჩვენი ქალაქის დიდი საქმეების ვითარება.** ქალაქის საფინანსო და საამშენებლო კომისიათა შეერთებულ სხდომაზე განხილულ იქნა ბელგიელი „გენერალური საზოგადოების" („Gènèrale Syndicat") წინადადება ქუთაისში წყალსადენის, ელექტრონული განათების, ტრამვაისა და კანალიზაციის განხორციელების შესახებ. ამ წინადადებაზე დიდს იმედებს ამყარებდა ქალაქის თვითმართველობა და მოუთმენლათ მოელოდა თითქმის ორი თვის განმავლობაში. მაგრამ მოვტყუვდით. წინადადების წვრილმანი მუხლები თითქმის სულ იმგვარივეა, როგორიც პეტერბურგელი სავაჭრო-საკომისიო-საქციონერო საზოგადოების წინადადების. რაც შეეხება „სხვილმან", უმთავრეს მუხლებს, აქ კი ისეთი პირობებია მოთავსებული, რომელიც სულ „სინდიკატის" სასარგებლოთ ლაპარაკობს და ეჩოსავით სულ თავისკენ მიითლის. წინასწარი პირობის პროექტში, მაგალითად, ასეთი მუხლებია მოთავსებული: „სინდიკატი" ადგენს წყალსადენის, ელექტრონული განათებისა ტრამვაისა და კანალიზაციის ტეხნიკურ პროექტებს. ამ პროექტების შედგენას ის აფასებს 25,000 მანეთად, თუ ხსენებული მუნიციპალური საქმეები საჯარო ვაჭრობის დროს „სინდიკატს" დარჩა გასაკეთებლათ, მაშინ ის პროექტების შესადგენ ფასს ცალკე აღარ თხოულობს; ხოლო, თუ ეს საქმეები სხვა ფირმას მიეცა, ქალაქმა უნდა უზღოს საზოგადოებას 25,000 მანეთი 6%—იანი სარგებლით. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციური სესხის რეალიზაცია ქალაქმა სხვას მიანდო, უნდა მისცეს საზოგადოებას მხოლოდ იმისთვის, რომ ის წინდაწინვე სესხის რეალიზაციას კისრულობს, ამ სესხის (ე. ი. 3,063,000 მან.) 2%, ე. ი. 61,260 მან, როდესაც ხსენებული საქმეები მოეწყობა, „სინდიკატი" იღებს მათ იჯარით 50 წლის ვადით შემდეგი პირობით: შემოსავლიდან უნდა დაიფაროს, რასაკვირველია, წლიური ხარჯები; გარდა ამისა, სესხის, სარგებლისა და წლიური შესატანის დასაფარავათ უნდა გადაიდვას საჭირო ფული; საზოგადოების მართვაგამგეობის ხარჯებათაც 10% და, შემდეგ ყველა ამ ხარჯისა, რაც წმინდა მოგება დარჩება (თუ, რასაკვირველია, დარჩა სამე!), შუაზე უნდა გაიყოს საზოგადოებამ და ქალაქმა. თუ ვინიცობაა, რამდენიმე წლის განმავლობაში არ დარჩა იმდენი წმინდა მოგება, რომ სესხის სარგებელი და წლიური შესატანი დაფაროს, იმ შემთხვევაში საზოგადოება ავანსათ აძლევს ქალაქს ფულს ხსენებული მიზნისთვის, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ მერე ეს ფული უკანვე დაუბრუნდეს მას შემდეგი მოგებიდან, ე. ი. ზარალი სავსებით ქალაქმა უნდა იკისროს! მოკლეთ რომ ვსთქვათ, ბელგიელების წინასწარი პირობის შინაარსი ასეთია: ქალაქის თვითმართველობამ უნდა აიღოს სესხი (3,063,000 მან.); ამ ფულით ბელგიელებმა უნდა მოაწყონ ქალაქის მუნიციპალური საქმეები; ამ საქმეების ბატონ-პატრონი 50 წლის განმავლობაში უნდა იქნენ ბელგიელები, რომელთა ხელშიც იქნება ყოველგვარი საქმის წარმოება, დავთრები და ანგარიშები. თუ ამ საქმეებიდან წმინდა მოგება დარჩა, საზოგადოებამ და ქალაქმა შუაზე უნდა გაიყონ; ხოლო, თუ ზარალი იქნა, პასუხის მგებელი მარტო ქალაქია. მასთან, თუ ვინცობაა, ხსენებული საქმეების გაკეთება საჯარო ვაჭრობის დროს საზოგადოებას არ დარჩა, ქალაქი ვალდებულია მისცეს საზოგადოებას ტეხნიკური პროექტების შედგენის ფასათ 25 000 მანეთი (თუნდაც ეს პროექტები „გროშათ" არ ღირდეს!) და გარდა ამისა კიდევ რაღაც 61,260 მანეთი (ეს კი აღარ ვიცით რა შრომისა და ღვაწლის ფასათ!).

ბელგიელებს უთუოთ გაუგონიათ, რომ ქართველები ერთობ გულუბრყვილონი ვართ, და უფიქრიათ, ჩვენს წინადადებას ისინი დიდი სიხარულით მიიღებენ, რადგან მოსალოდნელი ზარალის დასაფარავათ ფულს სესხათ (ავანსათ) ვაძლევთო; მაგრამ სასტიკათ მოსტყუვდენ: საფინანსო და საამშენებლო კომისიებმა სულ „ტყავი გააძვრეს" ამ წინასწარ პირობას და თავისი პირობებიც აცნობეს „სინდიკატის" წარმომადგენელს.

✦ ქალაქის საბჭოს სხდომა დანიშნულია 13 იანვრისათვის. ამ სხდომაზე სხვათა შორის განხილული იქნება: გამგეობის მოხსენება—შეეკრან თუ არა პირობით საკომისიონერო საზოგადოებას პეტერბურგში ელექტრონით განათების, წყალსადენის, ტრამვაისა და კანალიზაციის მოწყობის შესახებ. განხილული იქნება თუ ქალაქის თვითმართველობამ რაგვარი მონაწილეობა უნდა მიიღოს მსახიობი კ. დ. ყიფიანის საიუბილეო დღესასწაულში და მეპურე-მესალახეთა თხოვნა პურსა და ხორცზე ნიხრის მომატების შესახებ.

✦ ამ ჟამათ ქუთაისის სასამართლოს სესია ბათომში არჩევს საქმეებს და 18 იანვარს დაბრუნდება ბათომიდან. ამავე დღეს მეორე განყოფილება სესიისა სოხუმს გაემგზავრება სხვადასხვა სისხლის საქმისა გასარჩევათ.

✦ საბაზრო კომისიამ ბაზრის ზედამხედველის თანაშემწეთ ბარათაშვილი დანიშნა.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის" დეკემბრის ნუმერი.

✦ ქუთაისის მომღერალთა საზოგადოების ხორო 13 იანვარს ბათომს გაემგზავრება წ. კ. გ. საზოგადოების ბათომის განყოფილების მიერ გამართულ საღამოში მონაწილეობის მისაღებათ, რომელიც 14 იანვარს იმართება.

### მოწერილი ამბები.

**სოფ. ხრეითი.** 6 იანვარს წყლის კურთხევაზე თოფების სროლის დროს, ერთმა ახალგაზდამ უცაბედათ მოკლა ტყვიით ერთი ქალი.

**დ. ჩხარი.** 7 იანვარს ღამით ჩხარში დუქნებს ცეცხლი გაუჩნდა გადაიწვა რამდენიმე დუქანი ცეცხლი მალე მოაქვრეს.

**ს. სკანდეში** (ჩხარის საზოგადოება). 7 იანვარს ღამით უეცრათ ჩამოინგრა ბიჭია ფართლაძის სახლი, რომელსაც ქვეშ მოყვა ფართლაძის მეუღლე და სამი ქალიშვილი ყველანი სასტიკათ არიან დასახიჩრებული. თვითონ ბიჭია ფართლაძეს მკლავი დაუზიანდა. ც—ძე.

**ჭიათურა.** ადგილობრივი უნივერსიტეტის გამგეობა 15 იანვრიდან არსებულ საღამოს კურსებთან სამოქალაქო სასწავლებლის შენობაში ხსნის კურსებს მესამე ჯგუფისთვის, სადაც ასწავლიან: ქართულ ლიტერატურას, გეოგრაფიას, ბუნებისმეტყველებას და ისტორიას უსასყიდლოთ. 15 იანვრიდანვე მღვიმევის სამრეწველო რაიონში, ფორუდის შენობაში მოზდილთათვის იხსნება საღამოს კურსები, სადაც უსასყიდლოთ ასწავლიან: ქართულს, რუსულს, ანგარიშსა და საღვთო სჯულს. გ. ა.

**ს. კიცხი** (ზემო იმერეთი). აქ არსებობს ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, დაარსდა საკრედიტო ამხანაგობა, რომელიც დიდ დახმარებას უწევს ხალხს. ამ ერთი თვის წინათ აირჩიეს ახალი მამასახლისი, რომელიც გულმოდგინეთ შეუდგა საქმეს და გულმხურვალეთ ეპყრობა სოფლის ჭირვარამს. **ხედი.**

## სტუდენტების საღამოს გამო.

ვინ არ იცის, რა გაჭირვებაშიცაა ჩვენი ახალგაზდობა უცხო ქვეყნებში. სამშობლო მხარეს მოწყვეტილი რამდენსამე წლით, უმეტესი ნაწილი ჩვენი ახალგაზდობისა აუტანელ პირობებში ებრძვის ცხოვრებას. ყოველ ნაბიჯზე წინ ელობება მას გაჭირვება—უფულობა, რასაც მოსდევს შიმშილი და ავათმყოფობა. და როდესაც ასეთი გაჭირვება კარზე ადგია ჩვენს სახალგაზდას, იგი იძულებულია სწავლას თავი დაანებოს და „საქმე" ეძიოს. განა ცოტაა სხვადასხვა დაწესებულებაში ახალგაზდა, რომელსაც მიუნებებია თავი სწავლისათვის. ჯერ იმიტომ, რომ მშიერი არ მოკვდეს, შემდეგ კი—რომ მომავალისთვის ცოტაოდენი გროში მოაგროვოს და ისევ ოცნებობს სწავლის მიღებისათვის; მაგრამ ოცნება ოცნებათ ურჩება ხოლმე და გაჭირვება, რომელიც კვალდაკვალ თან სდევს, უცრუებს ყოველ იმედს.

ასეთია ცხოვრება ჩვენი ახალგაზდობისა, რომელიც არაფერს ზოგავს, რათა გაკაფოს ეს ეკლიანი გზა. რა ეშველებოდა სტუდენტობას, რომ ერთი მეორესთან კავშირი არ ქონოდათ. ისევ ამხანაგები თუ შველიან ერთი მეორეს, თვარა საზოგადოებისაგან ჩვენს ახალგაზდობას მაინცადამაინც დიდი იმედი არ აქვს: კი, მართალია, არიან თითო ოროლა, ვინც ზრუნვენ ალახგაზდობისათვის, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში.

ქუთაისში არსებობს ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება, რომელიც ყოველ ღონისძიებას ხმარობს დახმარება გაუწიოს სტუდენტობას, მაგრამ, რა გამოვიდა? სატირალია, რო ჩვენი ინტელიგენცია გაურბის ამ დაწესებულებას. ორ-სამი აქიმისა და რამდენსამე კერძო პირს გარდა, არავინ ითვლება ამ საზოგადოების წევრათ. დავიწყებიათ ჩვენს აქიმებს და სხვა სწავლა დასრულებულ პირებს, რომ ისინიც ყოფილან ახალგაზდანი, მათთვისაც აღმოუჩენიათ დახმარება თუ კერძო დაწესებულებებს და თუ სათვისტომოებს. კარგათ იციან ეს ყველაფერი ჩვენმა ინტელიგენტებმა, მაგრამ ცხოვრებამ დაავიწყათ წარსული. სირცხვილი არ არის—ახალგაზდები პრესის საშვალებით მიმართავდენ ინტელიგენციას სათვისტომოს ვალების გასტუმრებას? რა არის 25—30 მანეთის გასტუმრება ისეთი კაცისთვის, რომელიც 200—300 მანეთს იღებს თვეში?

ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ ასეთი საყვედურებით ვაწუხებ, მაგრამ ჩვენ გვალაპარაკებს სწორეთ სტუდენტობის ის გაჭირვება, რისთვისაც დღეს საზოგადო საკრებულო დარბაზში იმართება საღამო.

ახალგაზდობა დარწმუნებულია, რომ ჩვენს საზოგადოებაში კიდევ ბევრი მოიპოება სტუდენტების თანამგრძნობი, ვისაც სწამთ ახალგაზდობის მისწრაფებანი და ის კარგი მომავალი, რომელიც ამ კეთილი მისწრაფების შედეგი იქნება.

**სოსო ასლანიშვილი.**

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! პატივცემული „ერის" ამ წლის მეექვსე ნუმერში ბ. ტყვია ჩემს შესახებ იმავე შეცდომას შვრება, როგორშიც ბ. ბ. ურო, ისარი და სხვა ამგვარივე სასროლები ვარდებოდენ ხოლმე: ბრალს მდებენ—ნ. ნიკოლაძე ავტონომიას დასცინის, უარყოფს და სხვადასხვა. ნება მიბოძეთ თქვენს მკითხველებს მოვახსენო, რომ არც მტერი, არც უარმყოფელი გახლავარ ავტონომიისა. ბედნიერათაც ჩავსთვლიდი თავს, საქართველოს სრული ავტონომია რომ ჰქონდეს, თუმცა ხივისა და ბუხარას მკვიდრნი, რომელნიც ამ ავტონომიით სარგებლობენ, მეტათ ემდურიან მას და კიდეც აჯანყდენ მის წინააღმდეგ სწორეთ ისე, როგორც მეგრელები მოიქცენ ჩვენხა 1857-ში.

ავტონომიის თაობაზე ჩემსა და თქვენს მწერლებს შუა, არსებითი დავა კი არა, მარტო ტაკტიკური უთანხმოება სუფევს, მარტო იმას ვამბობ, როცა ამ საგანზე მკითხვენ ხოლმე, რომ ავტონომიას ჩვენ მუქთად არავინ გვიკვლევს, და საკუთარი ძალით ვერ შევიძენთ-მეთქი.

კითხვაზე: „ალბანიამ თუ იშოვა, ჩვენ განა მის ნაკლები ვართო"—ვუპასუხებ: მას ავტონომია იმ გარემოებამ მიანიჭა, რომ სამმა დიდმა სახელმწიფომ, ავსტრიამ, იტალიამ და გერმანიამ, ხმალი იშიშვლა მის დასამყარებლათ. იმდენათ ამ ქვეყნის რუსეთიდან და სლავიანებისგან დამოუკიდებლობა საჭიროა ადრიატიკის ზღვის დასაცველათ, ესე იგი იტალიისა და ავსტრიის უზენაესს ინტერესებისთვის. საქართველოს ბედი კი არც ერთ დიდ სახელმწიფოსთვის საჭიროებას არ შეადგენს, და მისთვის არავინ სისხლს არ დაღვრის.

ამ მიზეზით შეცდომათ ვსთვლი მიუწდომელ ოცნებაში დროს კარგვას.

ჩვენი მეფეები მარტო იმაში ვიმოწმე, რომ მათი და მათი ხალხის უეჭვო გმირობა ვერას გახდა ვერც საქართველოს დაცვაში გარეშე მტრებისგან, ვერც ევროპის მხრით დამხმარეს ძებნაში-თქო. დავრჩები და სხვ. **ნ. ნიკოლაძე.**

# დღიური

— რიგის მრავალ ქარხანაში 9 იანვარს მუშაობა არ სწარმოებდა.

— პეტერბურგში 9 იანვარს 70 ათასი მუშა გაიფიცა.

— 9 იანვარს ბევრი სოციალიტ-რევოლიუციონერი მუშა და სტუდენტი დააპატიმრეს.

— კუერნავაკში მეამბოხენი დამარცხდენ და 2 ათასი [illegible]

— სტამბოლში საფრანგეთის საფოშტო კ[illegible] [illegible].

— შინაურ საქმეთა მინისტრის კანონპროექტი ხულიგანობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მინისტრთა საბჭომ მოიწონა.

## ბედნიერი და უბედური ბავშვები.

**ვუძღვნი ქართველ მშობლებს.**

> **სანეტარო, სანეტარო, დაუბრუნებელი ხანა ბავშობისა! როგორ არ უნდა გიყვარდეს და ფუფუნებით არ ეპყრობოდე მის მოგონებას?**
>
> **ლ. ტოლსტოი.**

ბავშვები—ნუგეში და ბედნიერებაა მშობლებისთვის. ისინი განამტკიცებენ ქორწინებას, ამ ძირითად ქვაკუთხედსა ოჯახისას.

მათ შეაქვთ ცხოვრებაში სიცოცხლის ნაკადი და მათზე ამყარებს ადამიანი თავის იმედებს...

მუდამ მხიარულებმა არ იციან ცხოვრების მძიმე უღელი და მით ბედნიერები არიან.

სპეტაკი მათი სახე სულ მცინარეა და სიხარულის გამომხატველი.

მათს წმინდა, ნათელ სახეზე ვერ პოებთ მწუხარების ნიშანწყალს.

მომცინარე და მხიარული ბავში ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორც გაზაფხულის ნაზი ღიმილი; მოწყენილი და სერიოზულათ საქმეზე მზრუნავი ბავში—ცხოვრების სიმახინჯეა. მაგრამ, საუბედუროთ, ეს ბუნებრივი კანონი ხშირათ ასცდება ხოლმე თავის გზას და შეუფერებელს, საზიზღარ სახეებს იღებს.

აბა, დააკვირდით და დაინახავთ როგორც მდიდრულათ მორთულ სრა-პალატებში, ისე ღარიბ ქოხებში, ნესტიან სარდაფებში, სევდიან ბავშებს, რომელნიც მოკლებული არიან ბავშობას—ბედნიერებას....

მწუხარებით მოცული და მოწყენილი სდგანან ისინი თქვენს წინაშე და საყვედურის სავსე თვალებით საცოდავათ შემოგცქერიან.

მათში ვერ იპოვით იმ სულისა და ხსულის სიმხიარულეს, რომელიც დედა ბუნებამ წილათ არგუნა ყოველს ცოცხალ არსებას. მათს სახეზე იშვიათად ამჩნევთ სიხალისეს.... მიდის და აღარ ბრუნდება ძვირფასი სიცოცხლის გაზაფხული, სჭკნება ჯერ კიდევ გაუფურჩქნელი ახალგაზდობის წლები. მხოლოდ სიბერის დროს თითოეული ამ უბედური ბავშთაგანი იგრძნობს უკულმართ აღზდას და დიდაქტიკის მამასთან, კომენსკისთან ერთად ნაღვლიანი ხმით წამოიძახებს: „მე იმ უბედურ ბავშებს ვეკუთნოდი, რომელთა ძვირფასი სიცოცხლის გაზაფხულიც და ნორჩი, ჯერ კიდევ გაუფურჩქნელი ახალგაზდობის წლებიც საცოდავათ ჩაიღუპა.. ო, რა რიგ სულს მიწამლავს მოგონება წარსულის, დაკარგულის დროისა, რა რიგ გულის ტკივილებს მაგრძნობიებს იგი და ცრემლებს მაფრქვევიებს. ეს საშინელი გულის ტკივილი რა ხშირათ წამომაძახებს: „ო, რა კარგი იქნება, რომ დამიბრუნდეს დაკარგული წლები....", მაგრამ ამაოა ეს ამოძახილი. წასული დღე აღარ დაბრუნდება და არც მოხუცი გაემაწვილდება, რომ ხელახლა იწყოს ცხოვრება.

მართლაც, საშინელებაა და თან რაღაც სულის ტკივილებს გრძნობ, როდესაც ხედავ პატარა ბავშებს მწუხარეს, დაღვრემილს, საცოდაობასა და სიბრალულს იწვევს მათი დაბეჩავებული სახე, სახე რომელზეც ცხოვრებას თავისი დაღი დაუსვამს და მოუსპია პატარა წმინდა ტუჩებზე ღიმილი..., უმანკო სახეზე სიხარული.

ვიკითხოთ—რა არის ამის მიზეზი?

პასუხი ერთია. ჩვენი საკუთარი არსებობა. უკულმართი ცხოვრება რაღაც უწმინდური, შეუპოვარი ხელით შავ სუდარაში ახვევს ბავშის ნათელ მსოფლმხედველობას. განხეთქილება და ჩხუბი ოჯახში „რის მოწმე ხშირათ ბავშები არიან, სწამლავს მათს სპეტაკ სულს. ცხოვრების უკულმართობა, ყოველივე თავისი სიბინძურით, მუდამ ლუკმა პურისთვის ზრუნვა, ფუსფუსი „ჩქარა აცლის ბავშებს იმ ოქროს უმანკოების მტვერს, რომლითაც ბუნებამ ლამაზათ ააყვავილა მათი ნაზი ფრთები" და ჩქარა ხდის მათ დიდ ადამიანებათ, სპობს მათში ყოველ კარგს და ყოველ სალსა და თავისუფალი აზროვნების მისწრაფებას უხშობს.

არ უნდა შეაკლათ ნორჩი ძალები ცხოვრებასთან ბრძოლას.... უნდა შეიბრალოთ, რომ შემდეგში სპეტაკი, ნაზათ გაფურჩქნილი სული არ დარჩეს დასახჩრებული, დაწყლულებული, ტანჯვისაგან დაძაბუნებული....

დიდიხანია ბრძოლაა ორი თეორიის მოპირდაპირეთა შორის. პირველის მიმდევარნი ამტკიცებენ:—ბავშები ცხოვრების გარეშე უნდა იყონო და მაშინ მათ შერჩებათ სიწმინდე სულისა, უმანკოება აზრისა. მეორის მომხრენი ამბობენ: საჭიროა ბავშმა ადრე ჩაიხედოს ცხოვრების სიბინძურეში და თავიდანვე ადრე მოემზადოს მასთან საბრძოლათო. დე, გაიძახიან ისინი, თვით იხილოს ბავშმა ცხოვრება, იგრძნოს სიმწარე, გამოსცადოს გაჭირვებაო.....

ჩვენ აქ არ გავარჩევთ და არც შევაფასებთ ამ თეორიებს; ვიტყვით მხოლოდ —უნდა შეიბრალო ბავშის არსების ბუნებრივი მხიარულობა. უნდა ეცადო,— არ გაქრეს მისი მხიარული სიცილ—კასკასი, ეცადო—ბავშმა არ გაიგოს უკულმართობა ცხოვრებისა..... ნაღვლიანი სევდა ნუ მოესმას მის სათუთ ყურს და სისხლის ცრემლები ნუ დაეფრთქვიოს მის თეირთ შესამოსზე. ნუ გეშინიათ, გაიზდებიან და ცხოვრება კიდევ მოასწრებს—მაგრათ ჩასჭიდოს თავისი კლანჭები და თანდათან მოკლას მათში ტკბილი ოცნება, ახალგაზდობა.

რათ უნდა ჩქარობდეთ ბავშის დიდათ ადრე გადაქცნას?! დასტოვეთ იგი თუნდ პატარა ხნით მაინც თავის ზღაპრულს, მოჯადოებულს ბაღში, სადაც სუნელოვანი ფერადი ყვავილებია და ნათელი ოცნებანი.

**გიორგი ნიორაძე.**

## კვირიკე.

ქვემოთ ძალიან დაგვიანებულათ იბეჭდება დღეს ჩვენს გაზეთში „საახალწლო ბარათები". ამის მიზეზი ისაა, რომ ჩვენში ქვემოთ და ზემოთაც მისთანა გზა-შარებია გაყვანილი, რო ქუთაისზე, თუ გაგიწყრა ღმერთი, ამ ზამთრის დროს ორ-სამ ვერსზე დარჩი მოშორებული— მშვიდობით და გამარჯობით!—ისე ვეღარ იხილავ ქუთაისს, როგორც ქუ-

# Დ Ი Ა

მარწყვის ბაგე, მაყვლის თვალი,
თვალში ვნების ნაპერწკალი,
რხევა მისი—ხმაშწყობრობა—
აჩენს, რაც გულს განუცდია;
თამაში და ცელქი ქალი,
ვის ტანს ჰბურავს წითლათ გრძნობა—
ეს ის არის: ნორჩი დია!

—

გულუბრყვილო, საყვარელი,
მხიარული, შვების მგვრელი,
ოდეს მნახავს, იღიმება
თეთრ კბილს აკრთობს მთელმკერდლია;
და მიძახის: კოცნას ველი!
თან კი გარბის, არა სდგება
ჩემი სატრფო, ნორჩი დია!

—

ცეკვავს, მღერის, იშლის თმასა;
ყურს ვუგდებ მის ციურ ხმასა.
ჰანგი ჩემს სულს ანეტარებს,
ჭმუნვა ფორთხავს, დაბლა გდია;
ვაღებ კარსა იდუმალსა,
სად თვით სატრფო მონარნარებს,
ჩემი სატრფო, ნორჩი დია!

ლაიპციგი. ა. შანშიაშვილი.

# ლამაზ ვარდს.

ლამაზმა ვარდმა თავი დახარა,
ეშხით მწველ თვალით ცრემლი დაღვარა,—
ნიავმა სევდა ველარ დაფარა...
ახ! რა მწველია ცრემლი ვარდისა,
სულს ეჭვი აზრობს, გულს ზღვა დარდისა...

—

ლამაზმა ვარდმა ველს შემოსცინა,
ეშხით მწველ თვალით სხივი მოფინა,—
ნიავს რა უნდა, რათ დაიგმინა?!..
ახ! რა კარგია ღიმი ვარდისა,
სიცოცხლის შუქით მკვლელი დარდისა...

—

ლამაზ ვარდს ეტრფის ლაჟვარდი ცისა,
ედუდუნება ზვირთები ტბისა,—
ნიავი კოცნის, ნიავი მთისა...
ახ! შურის ცეცხლში მთლათ დავიდაგე,
სევდით ჩავკოცნე სიკვდილის ბაგე...

— ცვარ-ნამი.

ქუთაისი, 4 იანვარი.

თაისი ველარ იხილავს ელექტრონს, ტრამვაისა და კანალიზაციას, თუ ისეთი „კანილია“ სინდიკატები არ მოგვეშალა, რომელნიც ასიგნაციას სულ თავისთვის მოითხოვენ და თავისკენ ქაჩვენ, და ჩვენ ბოლოკი.

ქუთაისსა და მის მუნიციპალურ საქმეებს რო მოვიგონებ, ერთი სიტყვა მახვილი აზნაურის ნათქვამი გამახსენდება. ჰკითხეს:—რას აკეთებ, კაცო, ამ ქუთაისში, რატომ სოფლად, ოჯახში არ წახვალო?—სოფლად რა გავაკეთოო— მიუგო თურმე მან—ოჯახი, მე გეტყვი, ანანოვის ოჯახს მიმიგავს. მიწა არა მაქვს და კვალი და ამ ჩემს ზურგზე ვერ ვუბაყუნებ თოხს, სიმიდი მოვიყვანო კი არა, რწყილი ვერ ძლება ზედო. (სხვათა შორის—ხირხიმალი ერთობ გამხმარი აქვს იმ აზნაურს).

ასეა ქუთაისის საქმეც... კამპანიებსა და სინდიკატებს გაუგონიათ, რომ ქუთაისი იმერთა დედაქალაქია, იმერლები ხელ-იაფი ხალხია და ყველა ძვირათ ეკიდება. ჩვენი შიგნიკანტური ამბავისა ვინ რა უწყის. უილბლო ვართ! გაკეთების სურვილი ბევრისა გვაქვს, მარა ბევრს ბევრი უნდა და ჩვენ ცოტაზეც მწყრ ლათა ვართ. ვინც რასმე შეგვპირდა ჩვენი ქალაქის სათვალსეიროთ, გასალამაზებლათ, მამაცხონებულის შვილებს, საქმე მერე გაუხდათ „შესაპაჩინკებლათ“ და მოგვიცადეთო, და ეს „ზავთრა-ზავთრა“, რამდენჯერ გვეზამთრა და გვეზაფრა—ვის შეუძლია, დასთვალოს... რა არ უნდა ჩვენს ქუთაისს, ვინ დაითვლის ზღვაში ქვიშას... მარა თუ ობლიგაცია ვთრიეთ, კიდევ არა გვიშავს...

საგანს გადავცდი—„საახალწლო ბარათებზე მოგახსენებდით, რატომ დაგვიანდათქო. ამისთანა „შელოცვები“ გვიან არაოდეს არ არის, მართალია, მარა თუ კი „საახალწლოს“ დაარქმევ ახალს, საახალწლო გაზეთშიც უნდა იყოს... ასეთი ყოფილა „იგივეს“ სურვილიც, მარა სურვილი წადილათ შერჩენია, რადგან „სოობშჩენიე“ შეწყვეტილა. ბევრი უცდია, უცოდვილებია, მარა ვერ მოუწვდენია ჩვენამდი ეს ბარათები, სანამ გზა არ გაიდა და თვით იგივე „იგივე“ არ ჩამოვიდა. ჩამოვიდა, გაახლოთ და ახლა იმას მოუსმინეთ.

## საახალწლო ბარათები.

**წ. კ. საზ.—ბას.**

თქმულა: „სიდინჯე გმობილი
სჯობს სიჩქარესა ქებულსა“.

**სოფლ. მასწავლებლებს.**

„არავინ აღანთის ლამპარი და დადგის იგი ხვიმირსა ქვეშე, არამედ მთასა ზედა: და ნათობნ იგი ყოველთა. **სახარ.**

**„ნაკადულს“, „ჯეჯილს“.**

ინაკადულე, იმჩქეფრე
ყრმათა აღმზდელო ძიაო:
ზამთარ და ზაფხულ ეგ სახე
მაცოცხლებელი მზეაო.

**ჟურნ. „კლდეს“.**

„კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი». **სახარ.**

**„თემს“.**

„რა აენთის, უკუვჯდი,
რა შემცივდის, წინ წავჯდი“.
„წაჯე-უკუჯეგობა“ ს. ორბელ.

**„განათლებას“.**

იმან ტკბილი ვით იგემოს,
არ უნახავს ვისაც მწარე!..

**სიდოვანს.**

ძველადთვე თქმულა: „მართლის მთქმელს,
ცხენი მზათ უნდა ყავდესო!..
არ შედრკე, რა გინდ დრო ჟამი
გაგირისხდ-გაგიავდესო!

**ივ. გომართელს.**

გულში, რომ გქონდა, მალავდი,
და დღეს კი ამბობ ენითა,
მიტომაც გამოგისტუმრეს
ტლინკით და ეკლის ფენითა!..

**ადესის ქართვ. სტუდენტობას.**

„არა მნებავს სიკვდილი ცოდვილისა,
არამედ სინანული და აღდგომა მისი“.
**სახ. წერ.**

**„გმირებს“.**

„კაცი პატივსა შინა იყო და ვერა გულის ხმა ჰყო: ბაძვიდა იგი პირუტყვსა უგნურსა და მიემზგავსა მას“. **ფსალმ.**

**ახალგაზრდა პოეტებს.**

ვარსკვლავები, ბულბულები...
ზღვის ლიკლიკი, წყალთა ფრთონა...
აზრსა ყლაპავს, აზრსა ჩრდილავს
გარეგნობა, სიტყვის კონა!..

**ა. ხატისოვს.**

სულ სხვა გქონდა მუცლის გვრემა,
როს ხდებოდი შენცა ავათ...
გაჩენილხარ ქვეყნის დიდთა
ფეხებისა სალოკავათ!..

**ხომხის ბიუროკრატებს.**

სადაც გავა, ყველგან გავა,
ყველაფერი გავათ გავა!..
შვილიშვილმა არ ანანოს,
ვინც დღეს საქმე გაამწვავა!..

**დონ. გაბაშვილს.**

არც ვისმე წყევლის ეშინის,
არც ვისმე შენი ხმლისაო:
ბოლოს იგრძნობენ სიმწვავეს
შენი მართალი ხმისაო.

**ვ. გოთუას.**

კვალში ჩაუდექ ჯამბაზებს,
ეკვეთე მალი-მალაო..!
რაც „რეჩმა“ აღმოაჩინა,
იგი „ობზორმა“ მალაო!..

**პროტესტანტებს.**

სიმართლე ხომ აღადგინეთ
პროტესტების მრავლათ წერით,
აწ ფილიპეს იახელით
რიგ-რიგობით, კრძალვით, ჯერით...

**ნარიძეს.**

პურიშკევიჩიც, შენც იცი,
ჩვენი დაწიხვლის მდომია!
და შენი ავტონომია
გურული ფქვილის ლომია!..

**დეპუტატებს.**

ზოგი ალთას, ზოგი ბალთას,
შეეფარა ვინ ვის კალთას!..
მხოლოდ ერთი გაიძახის:
„ხალთას ხელი, ხელი ხალთას“!..

**საზოგ. ქართველობას.**

„რადგანაც ჩვენს ერთობაზე
დღეს ჩვენში ყველა სტყუაო,
ღმერთო მიეცი ქართველ კაცს
ძალლის გრძნობა და ჭკუაო“!.. **აკაკი.**

იგივე.

# ვარდთა საუბარი.

—

ლამაზმა ასულმა ქორფა ვარდი მოსწყვიტა.

ვარდის ხავერდივით ფოთლების სურნელება გრძნობას ატკბობდა, ათრობდა.

ლამაზმა ვარდს ამაყათ დახედა და სთქვა:

— კარგი იქნებოდა, ვარდო, რომ სილამაზეს მალე არ კარგავდე.

— მაგრამ ბედნიერი იმითა ვარ, რომ სილამაზესთან ერთად სიცოცხლეც მეცლება!—უპასუხა ქორფა ვარდმა.

**ფ. ჭორჭიკია.**

# ტატიანას დღე.

დღეს მოსკოვის უნივერსიტეტის დღეობაა. ასორმოცდა თვრამეტი წლის წინათ გრაფმა შუვალოვმა თავის დედას ტატიანას მისი დაბადების დღეს საჩუქრათ მიართვა უმაღლესი ბძანება მოსკოვში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. რუსის უნივერსიტეტში ყველაზე უფრო მხცოვანი, დიდი ისტორიის მქონე, რომელმაც თითქმის შექმნა რუსული მეცნიერება, იყო მოსკოვის უნივერსიტეტი. აქ იკრიბებოდენ საუკეთესო მეცნიერული ძალები. აქიდან გამოვიდენ უდიდესი რუსის მეცნიერები.

ერთ-ნახევარ საუკუნეზე მეტია—მოსკოვის უნივერსიტეტი სინათლის შუქს ფენდა ბნელით მოცულ რუსეთის არემარეს. დიდი და დაუფასებელია რუსეთისათვის ღვაწლი ამ უდიდესი კულტურული დაწესებულებისა. იქ სწავლა დასრულებულნი ათასობით ეფინებოდენ ყოველ წლიწადს თვალუწვდენელ სივრცეს რუსეთისას, შეჰქონდათ ხალხში განათლება, ემსახურებოდენ მას სიყვარულითა და თავდადებით. მთელი ასე ხანგრძლივი არსებობა მოსკოვის უნივერსიტეტისა ბრძოლა იყო რუსეთში გამეფებულ სულის შემხუთველ პირობებთან.

ბევრი მწარე დღე გამოუვლია ამ განათლების კერას, ბევრი შევიწროება აუტანია, მაგრამ თავის მაღალსა და კეთილშობილურ მოვალეობას მაინც ასრულებდა შეძლებისდაგვარათ. ხოლო ის, რაც მას ჩვენს დროში თავს გადახდა, რისი მოწმეც ჩვენ ვართ, უმაგალითოა რუსეთის უნივერსიტეტთა ისტორიაშიაც კი. ისეთი დარბევა როგორც წილათ ხვდა მოსკოვის უნივერსიტეტს 1911 წელს პირველია მის მატიანეში. თვით ნიკოლოზ პირველის უსასტიკესი რეჟიმის დროს, როცა, მგონია, უფლებას ფილოსოფიის ისტორიას ბოქაული კითხულობდა ხარკოვის უნივერსიტეტში, არ შეხვედრია ასეთი განადგურება არცერთ რუსეთის უნივერსიტეტს. ჩვენ ვამბობთ იმ დაუვიწყარ ფაკტზე, როცა საუკეთესო პროფესორები უნივერსიტეტის გამგეობის პრეზიდიუმისათვის თანაგრძნობის გამოსაცხადებლათ იძულებული გახდენ პროტესტის ნიშნათ უნივერსიტეტიდან წასულიყვნენ. უეჭველია, ყველას ახსოვს ეს გუშინდელი ამბავი. ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მას შემდეგ ეს სამი წელიწადია თითქოს შესწყდა მაჯისცემა, ჩაქრა მისი სიცოცხლე. იგი დღეს უბრალო სახელმწიფო დაწესებულებათ არის გადაქცეული. იქ დღეს მანუილოვ-მენზბისისა და ტიმირ იაზევის ნაცვლათ ყოველი საეროზო უფროსი კითხულობს ლექციას*) ვუსუროთ უძველეს განათლების კერას—რაც შეიძლება მალე შეცვლილიყოს დღევანდელი კრიზისი მისი აღდგენითა და აყვავებით.

# შარლ ბოდლერიდან.

**ლექსები პროზათ.**

საათი.

ჩინელი ხშირათ მიმართავს დროის გასაგებათ კატის თვალებს.

ერთხელ ვიღაც მისიონერს, რომელიც ნანკინის მიდამოებში დასეირნობდა, გაახსენდა, რომ მას საათი სახლში დაავიწყდა და კითხა ახლოს მდგომ ბავშს— რომელი საათიაო.

ზეციური ქვეყნის შვილი ჯერ შეყოყმანდა, მაგრამ ცოტა დაფიქრებას შემდეგ უპასუხა: ახლავე გეტყვითო“—და წავიდა.

ერთს წუთს შემდეგ ბავში დაბრუნდა, ხელში დიდი კატა ეჭირა. გულდასმით ჩახედა კატას თვალებში და დარწმუნებით უთხრა:—„მალე შუადღე იქნებაო“. სწორეთ ასე იყო.

—

როდესაც დავყურებ მშვენიერ ფელინას*) (რა მოსწრებული სახელია!), რომელიც შეადგენს ჩემი გულის სიამაყეს და ჩემი აზრების შუქმფენ ძალას, ყოველთვის—დღისით თუ ღამით, სინათლიან თუ ბურუსიან დროს, სულ ერთია— მუდამ ვსჭვრეტ ამ მომჯადოებელი თვალების სიღრმეში ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე საათს. და ეს საათი არის დიდებული, მუდმივი და გაუზომელი, ვით სივრცე სამყაროსი. იგი არ იყოფა არც წუთებათ, არცა წამებათ, და არც „ციფერბლატზე“ ინიშნება, და არის სუნთქვასავით სუბუქი და მჩატე.

და თუ იმ დროს, როდესაც მე წუნარათ დავყურებ ჩემს სატრფიალოს და სანეტარო „ციფერბლატს“, რომელიმე ბოროტი სული მკითხავს: „რატომ უცქერ აგრე გულდასმით? რას ეძებ ამ არსების თვალებში? ნუთუ შენ, უბრალო მომაკვდავი, უმზერ მანდ დროსო“—მე სწრაფლ, დაუყონებლივ ვუპასუხებ:

დიახ, მე ვუმზერ ამ თვალებში დროს და ეს დრო კი—**მარადისობაა.**“

**მოწოდება.**

არემარეს ბინდი ეხვეოდა.

მწვანე ზოლებით შეჭრელებულ ცაზე შემოდგომის მოკაშკაშე მზე დასავლეთისკენ მიეშურებოდა; განსპეტაკებული სხივები თითქოს სინანულში იყვენ, რომ ოქროსფერი ღრუბლები აშორებდენ მათ მშვენიერ, ედემისებ ბაღს, სადაც ოთხი თამაშით მოქანცული ბავში სიამოვნებით მასლაათობდა.

— „გუშინ—ამბობდა ერთი მათგანი:—თეატრში ვიყავი, უზარმაზარ, მწუხარებით მოცულს დარბაზში კაცნი და ქალნი, ჩაფიქრებულნი და დაღალულნი ანგებულნი, მაგრამ უფრო მოხდენილნი და უკეთესათ ჩაცმულნი, ვიდრე ისინი, ვისაც ჩვენ მუდამ ვხვდებით, ლაპარაკობდენ არაჩვეულებრივი ხმით, თითქოს მღერიანო. ისინი ერთმანეთს ემუქრებოდენ, ემუდარებოდენ, სასოწარკვეთილებას ეძლეოდენ და ხშირათ ხანჯალსაც კი იშველიებდენ. ახ! რა მშვენიერი სანახაობა იყო, აქ ქალები არ გვანდენ იმათ, ჩვენ რომ შინ ვხედავთ: მათ სილამაზითა და ტანადობით ვერვინ შეედრებოდა [illegible] წითელი ლოყები და დიდრონი, ჩაღრმავებული თვალები, ხოლცარ გამომეტყველებას აძლევდნენ [illegible] იძლებოდა სიყვარულით არ აღვსილიყავი მათდამი. ტანჯ[illegible] მგვრიდა ეს სანახაობა, მაგრამ ამასთანავე რაღაც სიამოვნებას განვიცდიდი. შეიძლება თქვენ გაიოცოთ, გეტყვით კი—მსურდა მათებ მოხდენილათ მოკაზმულვიყავ, მელაპარაკა მომხიბლავი ხმით და მემოქმედა ისე, როგორც ისინი მოქმედობდენ“.

ერთმა ბავშთაგანმა, რომელიც არ უსმენდა თავის ამხანაგს და გულდასმით მისჩერებოდა ერთ მისთვის ჯადოსნურ წერტილს ცაზე, უცბათ წამოიყვირა:—„გაიხედეთ იქით, ხედავთ **მას** აი, ეგერ... **იმას** იმ ცეცხლის ფერ ღრუბელზე, რომელიც ნელა მისცურავს ცის კიდურზე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ **ის** ჩვენ გვიყურებს“.

— ვინ არის ის?—ერთხმათ შეყვირა ყველამ.

— „ღმერთი!“—უპასუხა მან დარწმუნებით:—**ის** ახლა უკვე შორსაა, და მალე თქვენ **მას** ველარ იხილავთ, ალბათ **ის** მოგზაურობს და ნახულობს თავის სამეფოს ყოველივე კუთხეს. აი, **ის** უკვე ჩაეხლართა ხეებს, კაბადონზე რომ არის... ახლა **ის** სამრეკლოს მიეფარა... ახ! უკვე დაიმალა... თვალიდან მიგვეფარა!..

ბავში მიაშტერდა იმ მხარეს, სადაც **ის** მიიმალა. მის მბრწყინავ თვალებში ნათლათ ამოიკითხავდით არაჩვეულებრივ წუხილსა და სინანულს.

—„ბრიყვია ეგ თავისი ღმერთით, რომელსაც მხოლოდ თვით ხედავს!—შენიშნა მესამემ: აი, მე თქვენ მოგითხრობთ იმას, რაც თქვენ არაოდეს არ გადაგხდენიათ და რაც თქვენს თეატრსა და ღრუბლებზე უფრო საყურადღებო იქნება. ამას წინათ მშობლებთან ერთად ვმოგზაურობდი. რადგან იმ სასტუმროში, სადაც ჩვენ ჩამოვხტით, საკმარისი ლოგინი არ მოიპოვებოდა, მე ჩემს ძიძასთან დამაწვინეს.

„იცით, რაღაც უცნაურ გრძნობას განვიცდი, როდესაც წყვდიადით მოცულ ოთახში ძიძასთან წევხარ. მე არ მეძინებოდა და ხშირათ ვეალერსებოდი მის ხელებს, კისერსა და მხრებს. მისი ხელები და კისერი უფრო ხორციანი და სუქანია, ვიდრე სხვა ქალის და ისე რბილი და ნაზი, როგორც აბრეშუმის ქაღალდი. მე ისე მომხიბლა და გამიტაცა ამ ალერსმა, რომ სულითა და გულით მსურდა განმეგრძო, მხოლოდ მეშინოდა არ დამეფრთხო მისი ძილი და კიდევ რიღასიც... კიდევ რიღასიც მეშინოდა. რისი —მე თვითონ არ ვიცი. შემდეგ მე ჩავეწანი მის თმათა ტევრს, რომლის სასიამოვნო სურნელებაც ედემის ბაღს მაგონდება. განიცადეთ ეს ყოველივე და თქვენც იწამებთ ჩემს ნათქვამს“.

ამ მდროს პაწია მგოსნის თვალები არაჩვეულებრივათ გაგანიერდენ განცდილი შთაბეჭდილების მოგონებით. ჩამავალი მზის სხივები კეკლუცათ ელერსებოდა მის ხუჭუჭ თმებს და ალგზნებული დასტრიალობდენ მათ. ცხადია, ეს ბავში არ დაიწყებს ღმერთის ძებნას სადღაც ცის კაბადონზე გაკრეცილ ღრუბლებ შორის ის იპოვის მას სხვა, უფრო სანეტარო კუნჭულებში.

უკანასკნელათ, მეოთხემ სთქვა:

—„თქვენ კარგათ უწყით, რომ მე ძლიერ დაჩაგრული ვარ სახლში. თეატრში არ დავდივარ, რადგან ჩემი მზრუნველი ზომაზე მეტათ ძუნწი და ხელშეკრულია. ღმერთი არა მწყალობს და არც ძიძა მყავს შინ, რომ ვიცურაო ნეტარების მორევში. არსად არა ვგრძნობ თავს კმაყოფილათ. მუდამ ვფიქრობ—იქ უფრო კმაყოფილი ვიქნები, სადაც მე არა ვარ. დიდი სიამოვნებით ვივლიდი წინ, უცნობ მხარეებ შორის, ოღონდ კი ვგრძნობდე, რომ ჩემზე არავინ ზრუნავს. ამას წინათ ახლობელ სოფელში შემხვდა სამი კაცი. ისინი ეწეოდენ ისეთ ცხოვრებას, როგორიც ახლა დაგისურათეთ და რომელსაც ვეტრფი მთელი ჩემი არსებით.

*) Станкевичъ.

*) სიტყვა „félin“ ნიშნავს „კატისას“. ამით ბოდლერს სურს ალბათ მიგვითითოს ქალის არსების თვისებაზე.

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

მიღებულია და იყიდება ძლიერ ზომიერ ფასებში **რუსული კალენდრები** საუკეთესო გამოცემა ოტტო კირხნერისა და სიტინის ამხანაგობისა. **ტყავის პორტფელები** (Портфели адвокатскія, документныя и вексельныя).

ქართული გულის და ჯიბის **კალენდრები**
**კალათები ქაღალდის ჩასაყრელი.**

დიდი დამშვიდის, ზარზეუთლობის, აგრეუმლობის და შპალიერის ქ. ქუთაისში
**ფ. ს. ფილიპოვისა** ალექსანდრეს ქუჩაზე.

მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალიერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშეა.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.

თქვენ, რასაკვირველია, ყურადღებას არ მიაქცევდით მათ. ისინი მაღალი ტანისა იყვენ, შავგრემანი ტ'თუმც ტანთ ძონძები ემოსათ, მაგრამ მათი ამაყი გამომეტყველება განცვიფრებაში მოიყვანდა მაყურებელს, ისინი სამუსიკო იარაღს ატარებდენ თან. მათი მუსიკა სასიამოვნო იყო და იქამდი მომხიბლველი, რომ ადვილი შესაძლებელია, ხანგრძლივი სმენით გაბრუნებულ მსმენელს გონებაც დაეკარგა.

და იმდენათ კმაყოფილი იყვენ მემუსიკენი, რომ სიამოვნებით განაგრძობდენ დაკვრასა და მღერას მაშინაც კი, როდესაც ხალხი უკვე დაიშალა. ბოლოს, მოაგროვეს ნაჩუქარი და გაუდგენ გზას. მე თვალს ვადევნებდი და შორიახლო მივყვებოდი მათ, და, აი, სწორეთ მაშინ გავიგე, რომ მათ არავითარი ბინა არ ქონდათ.

— მოდი, კარავი გავაკეთოთ!—სთქვა ერთმა მემუსიკეთაგანმა.

— არა, არ ღირს!—სთქვა მეორემ:—რა დროს კარავია, როდესაც წყნარი, იდუმალობით მოცული ღამე დაგვყურებს და გვეალერსება?!

— ეჰ!—ამბობდა მესამე და თან მოგროვილ გროშებს ითვლიდა:—ამ ხალხს მუსიკის არაფერი გაეგება, მადლობა ღმერთს, ერთ თვეს შემდეგ ავსტრიაში ვიქნებით... იქ ნამდვილი სტუმართმოყვარენი დაგვხვდებიან.

— უკეთესი არ იქნება ესპანიას გავემგზავროთ?—სთქვა პირველმა:—ახლა კარგი დროა. წავიდეთ ჩქარა, ვიდრე გაწვიმდებოდეს.

„როგორც ხედავთ, მე ყველაფერი დავიხსომე და პტყუარათ გადმოგეცით. შემდეგ მათ არაყი მიირთვეს და იქვე მიწვენ. მინდოდა წავყოლოდი მათ და შემესწავლა მათი ხელოვნების სიბრძნე—სიდიადე, მაგრამ ვერ გავბედე, შიშს გაგრძნობიებს ხოლმე; თან მეშინოდა იმისა, რომ ჩემს განზრახვას გაიგებდენ საფრანგეთიდან ჩემი გაქცევის უმალ".

——

რაღაც უცნაური აგრძნობია ჩემს გონებასა და აზროვნებასა ამ ბავშმა, რომელიც გაუგებარ არსებას წარმოადგენდა. მის თვალებსა და სახეს რაღაც უდროო მომწიფების დაღი ემჩნეოდა. და ეს კი მთელი თავისი სიძლიერით იპყრობდა ჩემს გულისყურს.

არემარე დიდიხანია გაეხვია ბინდის ლეჩაქში...

ბავშები დაშორდენ ერთმანეთს და წავიდენ. წავიდა ყველა თავისი გზით, რომელიც განგებამ მათ წილათ არგუნა.

**Scurra.**

## † სოლო ბაგრატიონის ხსოვნას.

შენს დაკრძალვას, შენი ცხედრის ცივ სამარეში ჩასვენებას დავესწარი, სოლო, მაგრამ აქამდი ვერ გამორკვეულვარ, შენდამი ცხოველი სიყვარულით სავსე გული არ უჯერის ურჩ გონებას, რომ სამუდამოთ დამეკარგე ძვირფასი მეგობარი. არ მჯერა, რომ შენი წყნარი, დაფიქრებული, სულიერი სიფაქიზის გამომხატველი სახე ჟამთა უკულმართმა სრბოლამ სამუდამოთ გამოგვტაცა ხელიდან, სამუდამოთ მიაფარა მას მარადისობის შავი, საშინელი ზეწარი! არ მჯერა, არ მინდა დავიჯერო, მაგრამ მწარე სინამდვილე არ მასვენებს, შეუბრალებლათ ჩამძახის ყურში, რომ სოლომ სამუდამოთ იბრუნა ჩვენგან პირი, საუკუნოთ დაობლებულმა ძვირფასმა ცოლ შვილმა, ამხანაგთა ჯგუფმა და საზოგადოებამ ასე მოულოდნელათ დაკარგა სიცოცხლით სავსე ნამდვილი ადამიანი, ადამიანი, რომელიც სადის გონებით ადევნებდა თვალყურს ცხოვრების ყოველგვარ მოვლენას და, რომელიც სრულიად უჩინრათ, მაგრამ დიდის ენერგიით უწევდა სამსახურს ყოველგვარს სახალხო საქმეს.

სოლოს გონება არ იყო ჩვეულებრივ ავათ მყოფ, ვიწრო დოგმატიურ ფარგლებში მომწყვდეული. ის სრული კმაყოფილებით, გაბრწყინებული სახით მოიგონებდა ხოლმე ჩვენს დაუვიწყარს არჩილ ჯორჯაძეს. „ჩვენი ქვეყნის ხსნაო"-მეტყოდა ხოლმე „ორივე ბანაკის შეერთებაში და საერთო მოქმედებაშია, როგორც ერთ დროს ეს არჩილმა სამართლიანათ აღნიშნაო." არ მოსწონდა ჩვენებურ გაზეთებში ატეხილი პირადული კინკლაობა და ამ კინკლაობაში გაზეთის მიმართულება—შინაარსის დაკნინება. ,,თუ ეს სენი კიდევ ბევრხანს დაგვჩემდა, შველის მაგიერ დაღუპვისაკენ წავიყვანთ ხალხსო, შინაური არეულობა გარეშე მტრებს ახარებს და ამხნევებსო.

დიახ, განურჩევლათ რწმენისა ორივე დემოკრატიულმა ბანაკმა სოლო ბაგრატიონში დაკარგა საუკეთესო წევრი, რომლის მოგონებაც კი დიდს მორალურს, გამამხნევებელ ძალას წარმოადგენს იმის მეგობარ-ამხანაგებისთვის ხალხის სამსახურის საქმეში. **გ. ახვლედიანი.**

ს. როკითი.

## რუსეთი

**„სიეზდი".** პროფესიონალური საზოგადოებები ამ უკანასკნელ ხანებში რუსეთში ძალიან გავრცელდა. ამ გარემოებამ პეტერბურგის მუშებში დაბადა საკითხი პროფესიონალურ საზოგადოებათა წარმომადგენლების ,,სიეზდის'' მოწვევისა. ,,სიეზდში'' მონაწილეობას მიიღებს რუსეთში არსებული ყველა პროფესიონალური საზოგადოება. განზრახული იყო სხვადასხვა პროფესიის მუშათა ,,სიეზდის'' ცალცალკე მოწვევა. ეს უარყვეს, ვინაიდან ამგვარ ,,სიეზდებს'' არ შეუძლია გადასწყვიტოს ზოგიერთი პრინციპიალური საკითხებიო, როგორიც არის მაგალითად 8 საათიანი სამუშაო დღის შესახებ საკითხი და სხვა. პირველი ამგვარი ,,სიეზდის'' შემდეგ რვა წელი გავიდა. მეორე ,,სიეზდის'' მოწვევის სამზადისს უკვე შეუდგენ. ,,სიეზდი'' პეტერბურგში მოხდება, სადაც დაახლოვებით ოცამდი მუშათა კავშირი არსებობს და რომლის წევრთა რიცხვიც 25 ათას კაცს აღემატება.

**გაფიცვა.** ვარშავაში ლილპონპოსა და რაუს ქარხანაში მუშათა გაფიცვა დასრულდა. 170 მუშამ ძველ პირობებში განაახლა მუშაობა.

## უცხოეთი

**სესხი.** ჯავიდ-ბეის მოლაპარაკება აქვს პარიზში 700 მილიონ ფრანკის სესხათ აღების შესახებ. ჯავიდ ბეიმ ამ სესხის აღება თუ პარიზში ვერ მოახერხა, მაშინ სტამბოლს დაბრუნდება და მოლაპარაკებას გამართავს ამერიკის ფინანსიურ სინდიკატთან.

**გერმანიის უნივერსიტეტები.** მიმდინარე წელს გერმანიის უნივერსიტეტებში სულ 60 ათასი სტუდენტი იყო. აქიდან ქალთა რიცხვი 3686 უდრიდა. მედიკურ ფაკულტეტზე მოსწავლეთა რიცხვი თანდათან მრავლდება. სტუდენტთა 25% მედიკურ ფაკულტეტზე სწავლობს. იურიდიულ ფაკულტეტზე მოსწავლეების რიცხვმა დაიკლო. წინათ ამ ფაკულტეტზე სტუდენტთა 24 პროცენტი სწავლობდა, ახლა კი 14 პროცენტი სწავლობს.

## ოზურგეთის ამბები.

კვირას, 5 იანვარს, თვითმართველობის დარბაზში მოხდა ოზურგეთის ხელოსანთა წვრილი კრედიტის ამხანაგობის წლიური კრება. თავჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა წვრილი კრედიტის ინსპექტორი ბ. ვ. ღლონტი.

როგორც ანგარიშიდან ჩანს, ამხანაგობას ქონია საწარმოო საკუთარი თანხა 252 მ. 4 აბ. სახელმწიფო ბანკიდან 3000 მან., საერობო თანხიდან 12000 მან. შესანახათ მობარებული ფულები 1050 მ. 10 შაური. წლის განმავლობაში გაუცია 33507 მან. წლის დამლევს კიდევ აქვს გასესხებული 16577 მ. წმინდა მოსაგები დარჩენია 160 მ. 32 კაპ., რომელიც საზოგადო კრებამ ასე გაანაწილა: ამხანაგობის გადაცვლილი წევრის დვალიშვილის სესხის დასაფარავათ 25 მ., ამხანაგობის ძირითადი თანხის გასაძლიერებლათ 64 მ. 12 კ. სათადარიგო თანხათ 32 მ. 06 კ., ამხანაგობათა ანგარიშების ინსტრუქტორმწარმოებელს 10 მ., ოზურგეთის ბიბლიოთეკას დახმარებათ 20 მან. და სპეციალური თანხის გასაძლიერებლათ საკუთარი შენობის ასაგებათ 9 მ. 14 კ.

შემდეგ ბ. ინსპექტორმა აუხსნა კრებას, რომ ამხანაგობას შეუძლია 2000 მ. ისესხოს 10 წლის ვადით, რომელიც წევრებს მიეცემათ 3 წლის ინვენტარის შესაძენათ და 5 წლით მეურნეობის გასაუმჯობესებლათ.

დაამტკიცეს მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა: სახლის ქირა 130 მ., გათბობაგანათება 12 მ., ჟურნალ-გაზეთები 7 მ. 6 შაური, გამგეობის ჯამაგირი 340 მ., დარაჯს 80 მ., საკანცელარიო ხარჯები 100 მ., მოულოდნელი ხარჯები 50 მ. და შკაფის შესაძენათ 18 მ.

შემდეგ უნდა მომხდარიყო საბჭოსა და გამგეობის თითო წევრის არჩევანი, მაგრამ- როგორც სხვა კოლეგიალურ დაწესებულებაში, ისე არც აქ ყოფილა ერთსულოვანი მოქმედება და საბჭოს წევრმა ბ. ვ. გორდელაძემ უკიჟინა გამგეობის წევრს ღვდ. გ. ერქომაშვილს, რომ ჩვენს კრებაზე ნალაპარაკევი გარეთ გაგქონდა და ამიტომ მთელი საბჭოსა და გამგეობის ახალი არჩევანი მოითხოვა. ამას გარდა, ვითომ მამა ერქომაშვილს ეთხოვოს ვინმე ვასაძისათვის—სესხი გამოიტანე ამხანაგობიდან და მე გადმომეცი, რადგან მესაჭიროებაო.

ფარული კენჭისყრით ამოირჩიეს გამგეობის წევრებათ ბ. ბ. ვ. კვაჭანტირაძე, მ. მუჯირი, გრ. ღლონტი, კანდიდატათ ბ. ნ. კვაშალი; საბჭოს წევრებათ: ბ. ბ. ყ. ქარცივაძე ი. ლომინაძე, ს. მიქათაძე, ა. ხოხლენკო და ე. ქათამიძე.

საკვირველი ბუნების ხალხი ვართ ქართველები. ყოველივე კულტურულსა და საზოგადო საქმეში ძმა-ბიჭობა გვიყვარს, ყველაფერი თითოეული პიროვნების ნება-სურვილზე თუ არ მოეწყო, ფიქრიც კი მეტია ასეთ დაწესებულებაში მუშაობაზე. როდის შევიგნებთ, რომ ასეთი წაჯექუკუჯექობა ღუპავს ყოველ საქმეს.

საქმე ისა, რომ ახლათ ამორჩეულ საბჭოში ბ. ი. ლომინაძე 4-5 თვის წინათ ამხანაგობას გადაუყენებია მთელ გამგეობას და საბჭოსთან ერთად. ამ კრებაზე რო წამოაყენეს მისი კანდიდატურა, ხმა არ ამოუღია და არჩევას შემდეგ კი „მადლობა" გამოუცხადა კრებას და უარი სთქვა საბჭოს წევრობაზე, რაზეც სამართლიანათ შენიშნა ბ. თავჯდომარემ, რომ „კურსის ასაწევათ" არავის ვირჩევთ და ვისაც არ უნდოდა, წინათვე უარი სთქვეს და მოეხსნენით მათი კანდიდატურაო. **გოლა.**

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

7 ოკტომბერს 1913 წელს მივიღე უსახელო ლანძღვისა და მუქარის წერილი. ვსთხოვ, ვინც ამ წერილის ღირსი გამხადა, დასაბუთებით გამოაქვეყნოს მისი უსახელო წერილის შინაარსი შვიდი დღის განმავლობაში ამ წერილის გამოქვეყნებისა. წინაამდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები ეს წერილი გადავსცე ვისაც ჯერ არს, რაც სამი ადამიანისთვის მაინც არა სასიამოვნო შედეგს გამოიწვევს, რაშიც უვალო ვიყო მათ წინაშე.

**პოლიკარპე თეიმურაზის ძე ჟორჟოლაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ბრეგაძე.**

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
**,,სახალხო გაზეთი''**
(წელიწადი მეხუთე)

1914 წ. გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდი გამოდიოდა კვირაობით სურათებიანი დამატება

1914 წლ. ხელის მომწერნი, ვინც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებენ პრემიათ: პირველი წიგნი: ქართველი მწერლები: 1 „უგვირგვინო მეფე" ისტორ. დრამა 5 მოქ. ალექ. შანშიაშვილისა. 2. „მიმქრალი შარავანდი" ისტ. რომ ვ. ბარნოვისა მეორე წიგნი: უცხოეთის მწერლები: „დონ კარლოსი"—ტრაგ. შილერისა, თარგმ. გერმან. ალ. შანშიაშვილისა. და სხვ. ნაწარმოები უცხოეთის მწერლებისა მესამე წიგნი ,,სამეცნიერო კრებული.'' ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

**გაზეთის ფასი**

თფილისში და მის გარეშ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8მ.10შ. | 8 მ.—„ | 7მ.10შ. | 6მ.15შ. | 6 მ.—„ | 5მ. 5შ. | 4მ.10შ. | 3მ.15შ. | 3 მ.—„ | 2მ. 5შ. | 1მ.10შ. | —15შ. |

საზღვარ გარეთ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15მ.—„ | 13მ15შ | 12მ.10შ | 11მ.5შ | 10მ.—„ | 8მ15შ. | 7მ.10შ. | 6მ. 5შ. | 5 მ.—„ | 3მ.15შ. | 2მ.10შ. | 1მ. 5შ. |

ცალკე ნომერი ყველგან შაურათ; დამატებიანი შვიდი კაპეკათ.

თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ადესელ სტუდენტთა ინციატივით გამოვა ქართულ ენაზე სამეცნიერო- სალიტერატურო- კრებული
**,,ცხოვრება და მეცნიერება,''**
რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სტუდენტების გარდა ადგილობრივ უნივერსიტეტში მომუშავე სამეცნიერო ძალები. სუფთა შემოსავალი ამ კრებულიდან გადაიდება ადესის ქართულ საზოგადოების ,,საქართველო''-ს სასარგებლოთ.

**შინაარსი.**

პრ.—დოც: ს. ავალიანი. დროებით ვალდებულ გლეხთა საკითხი. ორდინატორი ნერვიულ კლინიკისა აქიმი ს. ყიფშიძე: საუბარი ტვინის ფუნქციებზე. პროზექტორი ანატომიურ თეატრისა აქიმი ნ. კახიანი: ნორმალურ ანატომიის შესავალი (უჯრედი და ქსოვილი). ორდინატორი ვენერიულ კათედრაზე აქიმი მ. ცეცხლაძე: ადამიანის სქესობრივი ცხოვრება. სტუდენტი შ. ქავჟარაძე: ანაბიოზი. სტ. ქ. რაჭველიშვილი. საუბარი ხელოვნების შესახებ. სტ. ს. ასლანიშვილი. სამცხე-საათაბაგოს სიძველენი. სტ. ვ. კარბელაშვილი. ახალგაზდები (მოთხ. სტუდ. ცხოვ.) სტ. დ. ღლენტი. ბავშის აღზრდა. სტ. გ. ურუშაძე. რადის მნიშვნელობა მედიცინაში.

ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ალექსანდრეს ქუჩა. ზ. კოკოჩაშვილის სახლი. ხელის მოწერით წიგნი ეღირება ერთი მანეთი, შემდეგ 1 მ. 10 შ.

**გ. გორდაძისა და ს. წერეთლის**

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის კოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩავ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ"

**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**

საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

**სპეციალური წიგნის მაღაზია**
**პ. ოცხელისა და ამხ.**
**ქუთაისში.**
იყიდება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი, გეოგრაფიული კარტები, სურათები თვალ საჩინო სწავლის ათვის, მწერლების სურათები, მოძრავი ანბანი და სხვა.
პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და ბიბლიოთეკებს ეძლევათ დიდი სადავათი.

**სპეციალური საკანცელარიო მაღაზია**
**დ. ოცხელისა**
**ქუთაისში.**
იყიდება ყოველ გვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთი ახლათ მიღებული არიმეტიკული ,,ჩოთქები'' და ყუთები, საღებავები, საუკეთესო რვეულები, ყოველგვარი ქაღალდი, კალენდრები, პორტფელები, კანტორის წიგნები. და მრავალი სხვა.
ფასები მეტათ ზომიერია.

## რკინის გზა.

**ქუთაისიდან მიდის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **თფილისს:** | სახალხო დილის | 10 საათ. | 6 წ. |
| | ფოშტის დილის | 11 საათ. | 55 წ. |
| | სახალხო ღამით | 11 საათ. | 27 წ. |
| **ათომს:** | სახალხო დილის | 5 საათ. | 10 წ. |
| | სახალხო ღამით | 11 საათ. | 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 21 წ. |
| **ფოთს:** | საბარგო დღის | 4 საათ. | 22 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. | 10 წ. |
| | ფოშტის დღით | 5 საათ. | 21 წ. |
| **შორაპანს:** | საბარგო დღით | 4 საათ. | 57 წ. |
| **ტყიბულს:** | სახალხო დილის | 7 საათ. | 50 წ. |

**ქუთაისს მოდის.**

| | | | |
|---|---|---|---|
| **თფილისიდან:** | სახალ. დილ. | 7 საათ. | — |
| | ფოშტის საღამ. | 6 საათ. | 55 წ. |
| | სახალხო ღამ. | 1 საათ. | 28 წ. |
| **ბათომიდან:** | საფ.-სახ. დილ. | 11 საათ. | 14 წ. |
| | სახალხო ღამ. | 1 საათ. | 27 წ. |
| **ფოთიდან:** | საბარ. დილ. | 10 საათ. | 3 წ. |
| | სახალხო დღით | 1 საათ. | 20 წ. |
| | სახალ. ღამით | 1 საათ. | 26 წ. |
| **შორაპნიდან:** | საბარ. დილის | 9 საათ. | 31 წ. |
| **ტყიბულიდან:** | საღამოს — | 5 საათ. | 11 წ. |

**ბილეთის ფასი:**

| | П კლ. | | Ш კლ. | |
|---|---|---|---|---|
| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| თფილისამდი — — | 4 | 31 | 2 | 87 |
| ბათომამდი — — | 3 | 5 | 2 | 3 |
| ფოთამდი — — — | 2 | 21 | 1 | 47 |
| ჭიათურამდი — — | 1 | 76 | 1 | 17 |

| | П კლ. | | Ш კლ. | |
|---|---|---|---|---|
| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| ბაქომდი — — — | 10 | 81 | 7 | 20 |
| მოსკოვამდი — — | 27 | 90 | 18 | 65 |
| პეტერბურგამდი — | 33 | 31 | 22 | 20 |
| ვარშავამდი — — | 31 | 50 | 21 | 5 |

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვისა ქუთაისში.